

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „რუსული ფილოლოგია“
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 დამატებითი სპეციალობა(მაინორი)//სპეციალობის არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>- აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოში ადვილად ადაპტირებადი ფილოლოგი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებებისა და პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.</p> <p>- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს საბაზო ფილოლოგიური ცოდნა, რუსული ფილოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, სლავური ენების ცოდნა (რუსული და პოლონური), გააცნოს მათ თანამედროვე სლავური სამყარო.</p> <p>- ჩამოუყალიბოს სოციალიზაციისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევები: ტექსტთან მუშაობის უნარ-ჩვევები, ტექსტური ინფორმაციის აღქმის და მოკლედ გადმოცემის, მისი ინტერპრეტაციისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნის უნარი;პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვის არგუმენტირების უნარ-ჩვევები; ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, გამოყენებითი ხასიათის კვლევის ჩატარების უნარი, რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადების უნარი, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარით.</p> <p>- გაიაზროს პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, აითვისოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრინციპები, მზად იყოს სწავლების მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების გასავლელად ან შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის.</p>
სწავლის შედეგები	<p>- აქვს რუსული ფილოლოგიის (რუსული ენისა და ლიტერატურის) ფართო ცოდნა, აცნობიერებს რუსული ფილოლოგიის კომპლექსურ საკითხებს;</p> <p>- ფლობს რუსულ ენას B.2 დონეზე მიმართულებებით: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა;</p> <p>- აქვს მთარგმნელობითი საქმიანობის საფუძვლების ზოგადი ცოდნა;</p> <p>- ფლობს რუსული დისკურსის დაკვირვებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს და შეუძლია თანამედროვე მეთოდების მეშვეობით გამოყენებითი ხასიათის კვლევის ჩატარება ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;</p> <p>- შეუძლია რუსული ტექსტების წერის, კითხვის, ინტერპრეტაციის სტრატეგიების გამოყენება რუსული დისკურსის ათვისებისას;</p> <p>- შეუძლია მთარგმნელობითი საქმიანობის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამოყენება;</p> <p>- შეუძლია რუსული ენობრივი და ლიტერატურული მასალის შეგროვება, დაკვირვება, გაანალიზება და ხელმძღვანელის მითითებით არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p> <p>- რუსულ ენაში მიღებული ცოდნის საფუძველზე ამყარებს კომუნიკაციას წერილობითი და ზეპირი ფორმით (პროფესიულ სფეროში და არასპეციალისტებისთვის);</p> <p>- შეუძლია რუსულ ენაზე ზეპირი და წერიტი პრეზენტაციებისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;</p> <p>- შეუძლია რუსულ ფილოლოგიაში შეძენილი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა;</p> <p>- გაცნობიერებული აქვს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები; აქვს გამომუშავებული მოქალაქეობრივი შეგნება და მზად არის მათ დასამკვიდრებლად პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ტოლერანტულია სხვა კულტურის წარმომადგენლების მიმართ.</p>
შეფასებისწესი	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც:</p> <p>ა. მიმდინარე აქტივობის შეფასება –40 ქულა;</p> <p>ბ. შუალედური გამოცდები - 20 ქულა;</p> <p>გ. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.</p> <p>ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა</p>

	<p>გარკვეული მაქსიმუმი. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. • შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა; <p>სტუდენტის საბოლოო შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. <p>უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება - წარდგენა ხდება ბსუ – ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით (დადგენილება №112. 2015 წლის 8 ოქტომბერი. მუხლი 14).</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი: მარინე აროშიძე, პროფესორი მობ.: +995 577 141030 e-mail: marina.aroshidze@bsu.edu.ge,</p>